



ქ. თბილისი

25 სექტემბერი 2024 წელი

შპს ნატახტარი 2005

ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
და
დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა



შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა -----	3
ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე -----	4
აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე -----	4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება -----	6
მოგება-ზარალის და სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგება -----	7
ფულადი ნაკადების ანგარიშგება -----	8
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება -----	9
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები -----	10



დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

შპს „ნატახტარი 2005“-ის მენეჯმენტს

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ნატახტარი 2005“-ს ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალის და სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს „ნატახტარი 2005“-ს ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით და შეესაბამება მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტს (მსს ფასს).

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასსების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ შპს „ნატახტარი 2005“-საგან ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსისა (IESBA კოდექსი) და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენს მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს; გარდა ამისა შევასრულეთ ამ ნორმებით და IESBA ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისათვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მმართველობითი ანგარიშგება

მმართველობით ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. მმართველობითი ანგარიშგება მოიცავს კომპანიის საქმიანობის მიმოხილვას, რაც მოითხოვს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული მეორე კატეგორიის საწარმოებისგან, რომელსაც მიეკუთვნება კომპანია.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენს მიერ ჩატარებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება

ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს შპს „ნატახტარი 2005“-ს ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან შპს „ნატახტარი 2005“-ს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელია, რომ ისინი ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ს შესაბამისად აუდიტის მსვლელობისას ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთან ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ შპს „ნატახტარი 2005“-ს შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა. ჩვენი დასკვნები დაფუძნებულია აუდიტის მტკიცებულებებზე, რომლებიც მიღებულია ჩვენი აუდიტის დასკვნის გაცემის თარიღამდე. თუმცა, მომავალმა გარემოებებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის ფუნქციონირების უწყვეტობის შეწყვეტა.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის ახსნა-განმარტებებს და ასევე ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვქონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან სისუსტეებზე.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

ბელა ვარდიძე /SARAS-A-518452/

შპს ბესტ აუდიტი

25 სექტემბერი 2024 წ.

თბილისი, საქართველო

• ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა. ჩვენი დასკვნის დაფუძნებულია აუდიტის მტკიცებულებებზე, რომლებიც მიღებულია ჩვენი აუდიტის დასკვნის გაცემის თარიღამდე. თუმცა, მომავალმა გარემოებებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის ფუნქციონირების უწყვეტობის შეწყვეტა.

• ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის ახსნა-განმარტებებს და ასევე ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვქონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან სისუსტეებზე.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

ბელა ვარდიძე /SARAS-A-518452/

შპს ბესტ აუდიტი

25 სექტემბერი 2024 წ.

თბილისი, საქართველო

ბ. ვარდიძე

შპს ნატახტარი 2005 ს/წ 204487616				
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება				
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით				
	შენიშვნა	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
აქტივები				
ფული და ფულადი ექვივალენტები	5	532918	613,258	454,539
მოკლევადიანი მოთხოვნები	6	11802225	10,275,689	8,723,904
სასაქონლო მატერიალური მარაგები	7	916562	557,977	429,958
ჯამურად მიმდინარე აქტივები		13251704	11,446,924	9,608,401
ფიქსირებული აქტივები	8	4351308	4,517,645	4,606,999
არამატერიალური აქტივები	9	2150	4,163	78,195
ჯამურად გრძელვადიანი აქტივები		4353458	4,521,808	4,685,194
სულ აქტივები		17605162	15,968,732	14,293,595
ვალდებულებები				
კრედიტორული დავალიანება	10	11213325	9,369,041	7,959,729
ვალდებულებები მოკლე პოზიციიდან				
გადასახდელი გადასახადები	11	222229	189,360	152,591
გადასახდელი პროცენტები				
ჯამურად მოკლევადიანი ვალდებულებები		11435554	9,558,401	8,112,319.89
გრძელვადიანი ვალდებულებები	12	9595	33,635	56,650
გრძელვადიანი სესხები				
ჯამურად გრძელვადიანი ვალდებულებები		9595	33,635	56,650
სულ ვალდებულებები		11445149	9,592,036	8,168,970
კაპიტალი				
კაპიტალი		440	440.00	440.00
გაუნაწილებელი მოგება		3039273	3,255,956	3,003,885
გადაფასების რეზერვი		3120300	3,120,300	3,120,300
სულ კაპიტალი		6160013	6,376,696	6,124,625
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		17605162	15,968,732	14,293,595

დირექტორი:

მთ.ბუღალტერი:

23 სექტემბერი 2024

შპს ნატახტარი 2005 ს/ნ 204487616
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
აქტივები				
ფული და ფულადი ექვივალენტები	5	532,918	613,258	454,539
მოკლევადიანი მოთხოვნები	6	11,802,225	10,275,689	8,723,904
სასაქონლო მატერიალური მარაგები	7	916,562	557,977	429,958
ჯამურად მიმდინარე აქტივები		13,251,704	11,446,924	9,608,401
ფიქსირებული აქტივები	8	4,351,308	4,517,645	4,606,999
არამატერიალური აქტივები	9	2,150	4,163	78,195
ჯამურად გრძელვადიანი აქტივები		4,353,458	4,521,808	4,685,194
სულ აქტივები		17,605,162	15,968,732	14,293,595
ვალდებულებები				
კრედიტორული დავალიანება	10	11,213,325	9,369,041	7,959,729
ვალდებულებები მოკლე პოზიციიდან				
გადასახდელი გადასახადები	11	222,229	189,360	152,591
გადასახდელი პროცენტები				
ჯამურად მოკლევადიანი ვალდებულებები		11,435,554	9,558,401	8,112,320
გრძელვადიანი ვალდებულებები	12	9,595	33,635	56,650
გრძელვადიანი სესხები				
ჯამურად გრძელვადიანი ვალდებულებები		9,595	33,635	56,650
სულ ვალდებულებები		11,445,149	9,592,036	8,168,970
კაპიტალი				
კაპიტალი		440	440	440
გაუნაწილებელი მოგება		3,039,273	3,255,956	3,003,885
გადაფასების რეზერვი		3,120,300	3,120,300	3,120,300
სულ კაპიტალი		6,160,013	6,376,696	6,124,625
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		17,605,162	15,968,732	14,293,595

დირექტორი:

მთ.ბუღალტერი:

23 სექტემბერი 2024 წ.



შპს ნატახტარი 2005, ს/ნ: 204487616			
სრული შემოსავლების ანგარიში			
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			
	შენიშვნა	12/31/2023	12/31/2022
ამონაგები		83092872	75,084,162
რეალიზებული პროდუქციის / გაწეული მომსახურების თვითღირებულება		(75689761)	(68,461,970)
მოგება ან ზარალი რეალიზაციიდან		7403111	6,622,193
სხვა საოპერაციო შემოსავლები			
სულ საოპერაციო შემოსავლები:		7403111	6,622,193
მიწოდების ხარჯები		(1133690)	(1,019,750)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები		(2740567)	(2,671,497)
სხვა საწარმოო დანიშნულების ხარჯები		(2952589)	(2,431,588)
სულ საოპერაციო ხარჯები:	13	(6826846)	(6,122,835)
ფინანსური შემოსავლები		236873	261,669
დადებითი საკურსო სხვაობები		520593	521,927
სხვა გაუთვალისწინებელი შემოსავლები		2218	7,912
სულ არასაოპერაციო შემოსავლები:	14	759684	791,508
ზარალი ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გასვლიდან			(773)
ფინანსური დანახარჯები		(141442)	(132,134)
საგადასახადო ჯარიმები და საურავები		(7688)	(9,776)
უარყოფითი საკურსო სხვაობები		(609891)	(196,093)
სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები		(558645)	(358,040)
სულ არასაოპერაციო ხარჯები:	15	(1317666)	(696,815)
მოგება დაბეგვრამდე:		18284	594,050
მოგების გადასახადის ხარჯი			
სულ პერიოდის მოგება ან ზარალი განგრძობითი ოპერაციებიდან:			
მოგება ან ზარალი შეწყვეტილი ოპერაციებიდან			
სულ პერიოდის მოგება ან ზარალი		18284	594,050
ძირით. საშუალ. და არამატ. აქტ. გადაფასებიდან შემოსულობები ან ზარალი			
სულ პერიოდის სხვა სრული შემოსავალი, გადასახადის გამოკლებით:			
სულ საანგარიშო პერიოდის სრული შემოსავალი:		18284	594,050

დირექტორი:

მთ.ბუღალტერი:

23 სექტემბერი 2024

შპს ნატახტარი 2005, ს/ნ: 204487616
 სრული შემოსავლების ანგარიში
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	31/12/2023	31/12/2022
ამონაგები		83,092,872	75,084,162
რეალიზებული პროდუქციის / გაყვლი		(75,689,761)	(68,461,970)
მომსახურების მიწოდების შედეგად		7,403,111	6,622,193
მოგება ან ზარალი რეალიზაციიდან			
სხვა საოპერაციო შემოსავლები		7,403,111	6,622,193
სულ საოპერაციო შემოსავლები:		(1,133,690)	(1,019,750)
მიწოდების ხარჯები		(2,740,567)	(2,671,497)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები		(2,952,589)	(2,431,588)
სხვა საწარმოო დანიშნულების ხარჯები			
სულ საოპერაციო ხარჯები:	13	(6,826,846)	(6,122,835)
ფინანსური შემოსავლები		236,873	261,669
დადებითი საკურსო სხვაობები		520,593	521,927
სხვა გაუთვალისწინებელი შემოსავლები		2,218	7,912
სულ არასაოპერაციო შემოსავლები:	14	759,684	791,508
ზარალი ძირითადი საშუალებების და			(773)
არამატერიალური აქტივების გასვლიდან		(141,442)	(132,134)
ფინანსური დანახარჯები		(7,688)	(9,776)
საგადასახადო ჯარიმები და საურავები		(609,891)	(196,093)
უარყოფითი საკურსო სხვაობები		(558,645)	(358,040)
სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები			
სულ არასაოპერაციო ხარჯები:	15	(1,317,666)	(696,815)
მოგება დაბეგვრამდე:		18,284	594,050
მოგების გადასახადის ხარჯი			
სულ პერიოდის მოგება ან ზარალი განგრძობითი			
მოგება ან ზარალი შეწყვეტილი ოპერაციებიდან			
სულ პერიოდის მოგება ან ზარალი		18,284	594,050
ძირით. საშუალ. და არამატ. აქტ. გადაფასებიდან			
ჰიმოსოლოგიი ან ზარალი			
სულ პერიოდის სხვა სრული შემოსავალი,			
გადასახადის გამოკლებით:			
სულ საანგარიშო პერიოდის სრული შემოსავალი:		18,284	594,050

დირექტორი:

მთ.ბუღალტერი:

23 სექტემბერი 2024 წ.



შპს ნატახტარი 2005 ს/წ 204487616		
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		
ფულადი ნაკადების ანგარიშგება		
(საოპერაციო საქმიანობიდან ნაკადების წარდგენის პირდაპირი მეთოდით)		
	12/31/2023	12/31/2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	59401137	57,880,192
სხვა შემოსულობანი საოპერაციო საქმიანობიდან	250	1,438
ზარალის დასაფარავად (ზიანის ასანაზღაურებლად) მიღებული თანხები		
მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(53607796)	(52,344,979)
გაცემული შრომის ანაზღაურება	(3324808)	(3,026,875)
ანგარიშვალდებულ პირებზე გაცემული ავანსები	(1064)	91,694
გადახდილი გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა)	(1927030)	(1,785,050)
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	(146567)	(19,132)
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან	394122	797,289
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:		
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	(123198)	
ძირითადი საშუალებებისა და არამატ. აქტივების გასვლიდან შემოსულობანი მიღებული პროცენტები	6450	63
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან	(116748)	63
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:		
საკუთარი აქციების გამოსყიდვა ან გაცემები კაპიტალის შემცირების გამო		
სესხების აღება	6388786	4,994,758
სესხების დაფარვა	(6247589)	(5,093,998)
ფინანსური იჯარის (ლიზინგის) ვალდებულებების დაფარვა	(24040)	(23,015)
გადახდილი პროცენტები	(141442)	(132,134)
გადახდილი დივიდენდები	(223219)	(324,880)
სხვა შემოსულობანი / გაცემები საფინანსო საქმიანობიდან (ნეტო)	(99953)	(83,471)
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან	(347457)	(662,740)
ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული ზრდა / კლება (ნეტო)	(10259)	24,108
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	(80341)	158,720
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის:	613259	454,539
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:	532918	613,259

დირექტორი:

მთ.ბუღალტერი:

23 სექტემბერი 2024

შპს ნატახტარი 2005 ს/ნ 204487616
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფულადი ნაკადების ანგარიშგება
(საოპერაციო საქმიანობიდან ნაკადების წარდგენის პირდაპირი მეთოდით)

	31/12/2023	31/12/2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	59,401,137	57,880,192
სხვა შემოსულობანი საოპერაციო საქმიანობიდან	250	1,438
ზარალის დასაფარავად (ზიანის ასანაზღაურებლად) მიღებული თანხები		
მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(53,607,796)	(52,344,979)
გაცემული შრომის ანაზღაურება	(3,324,808)	(3,026,875)
ანგარიშვალდებულ პირებზე გაცემული ავანსები	(1,064)	91,694
გადახდილი გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა)	(1,927,030)	(1,785,050)
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	(146,567)	(19,132)
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან	394,122	797,289
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:		
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	(123,198)	
ძირითადი საშუალებებისა და არამატ. აქტივების გასვლიდან შემოსულობანი მიღებული პროცენტები	6,450	63
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან	(116,748)	63
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:		
საკუთარი აქციების გამოსყიდვა ან გაცემები კაპიტალის შემცირების გამო		
სესხების აღება	6,388,786	4,994,758
სესხების დაფარვა	(6,247,589)	(5,093,998)
ფინანსური იჯარის (ლიზინგის) ვალდებულებების დაფარვა	(24,040)	(23,015)
გადახდილი პროცენტები	(141,442)	(132,134)
გადახდილი დივიდენდები	(223,219)	(324,880)
სხვა შემოსულობანი / გაცემები საფინანსო საქმიანობიდან (ნეტო)	(99,953)	(83,471)
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან	(347,457)	(662,740)
ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული ზრდა / კლება (ნეტო)	(10,259)	24,108
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	(80,341)	158,720
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის:	613,259	454,539
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:	532,918	613,259

დირექტორი:

მთ.ბუღალტერი:

23 სექტემბერი 2024 წ.

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

	სააქციო / საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილ. მოგება / დაუფარავი ზარალი	გადაფა- სების რეზერვები	გაცემული დივიდენდი	სულ საკუთარი კაპიტალი
შპს ნატახტარი 2005 ს/ნ 204487616					
ნაშთი 01.01.2022-თვის	440	5,434,421	3,120,301	(2,430,537)	6,124,625
კორექტირების შედეგად გადაანგარიშებული ნაშთები	0	0	0	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება ან ზარალი	0	594,050	0	0	594,050
საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	0	594,050	0	0	594,050
განაწილებული დივიდენდები	0	0	0	(341,979)	(341,979)
სულ მესაკუთრეებთან განხორციელებული ოპერაციები	0	0	0	(341,979)	(341,979)
ნაშთი 01.01.2023-თვის	440	6,028,471	3,120,301	(2,772,516)	6,376,696
საადრცხვო პოლიტიკის შეცვლით გამოწვეული კორექტირებები	0	0	0	0	0
შეცდომის გასწორებით გამოწვეული კორექტირებები	0	0	0	0	0
კორექტირების შედეგად გადაანგარიშებული ნაშთები	0	0	0	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება ან ზარალი	0	18,284	0	0	18,284
საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	0	18,284	0	0	18,284
მესაკუთრეების შენატანები კაპიტალში	0	0	0	0	0
განაწილებული დივიდენდები	0	0	0	(234,967)	(234,967)
სულ მესაკუთრეებთან განხორციელებული ოპერაციები	0	0	0	(234,967)	(234,967)
ნაშთი 01.01.2024-თვის	440	6,046,755	3,120,301	(3,007,483)	6,160,013

დირექტორი:

მთ.ბუღალტერი:

23 სექტემბერი 2024

შპს ნატახტარი 2005 ს/ნ 204487616

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შპს ნატახტარი 2005 ს/ნ 204487616	სააქციო / საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილ. მოგება / დაუფარავი ზარალი	გადაფა- სების რეზერვები	გაცემული დივიდენდი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 01.01.2022-თვის	440	5,434,421	3,120,301	(2,430,537)	6,124,625
კორექტირების შედეგად გადაანგარიშებული ნაშთები	0	0	0	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება ან ზარალი	0	594,050	0	0	594,050
საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	0	594,050	0	0	594,050
განაწილებული დივიდენდები	0	0	0	(341,979)	(341,979)
სულ მესაკუთრებთან განხორციელებული ოპერაციები	0	0	0	(341,979)	(341,979)
ნაშთი 01.01.2023-თვის	440	6,028,471	3,120,301	(2,772,516)	6,376,696
საადრიცხო პოლიტიკის შეცვლით გამოწვეული კორექტირებები	0	0	0	0	0
შეცდომის გასწორებით გამოწვეული კორექტირებები	0	0	0	0	0
კორექტირების შედეგად გადაანგარიშებული ნაშთები	0	0	0	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება ან ზარალი	0	18,284	0	0	18,284
საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	0	18,284	0	0	18,284
მესაკუთრების შენატანები კაპიტალში	0	0	0	0	0
განაწილებული დივიდენდები	0	0	0	(234,967)	(234,967)
სულ მესაკუთრებთან განხორციელებული ოპერაციები	0	0	0	(234,967)	(234,967)
ნაშთი 01.01.2024-თვის	440	6,046,755	3,120,301	(3,007,483)	6,160,013

დირექტორი:

მთ.ბუღალტერი:

23 სექტემბერი 2024 წ.



ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ძირითადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ნატატარი 2005“ (შემდგომში კომპანია) დაარსებულია 2005 წლის 29 სექტემბერს, საიდენტიფიკაციო კოდი 204487616, მარეგისტრირებული ორგანო-თბილისის საგადასახადო ინსპექცია, იურიდიული მისამართი-საქართველო, თბილისი, სარაჯიშვილის ქ. N20; პარტნიორები: კონსტანტინე ომიაძე-65%, ზურაბ კოპაძე 35%. დირექტორი-გიორგი ქუთათელაძე. დირექტორის მოვალეობის შემსრულებელია ლევან ტაბუცაძე.

შპს „ნატატარი 2005“ ახორციელებს ლუდის და უალკოჰოლო სასმელების მიწოდება-დისტრიბუციას თბილისის მაშტაბით.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი ორგანიზაციის პრინციპისა და მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის („მსს ფასს“) შესაბამისად.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობისა და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით.

კომპანიას მოეთხოვება ფინანსური ანგარიშგების წარმოება ქართულ ლარში. კომპანიის ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ქართული ლარის სიზუსტით. სხვა ვალუტაში წარმოდგენილი ოპერაციები განიხილება როგორც უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები. ფინანსური მდგომარეობის საბალანსო მუხლები წარმოდგენილია ლიკვიდურობის მიხედვით.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-თან შესაბამისობით მომზადება მენეჯმენტისაგან მოითხოვს დაშვებების, შეფასებებისა და მოსაზრებების გამოთქმას, რომლებიც მოქმედებენ ფინანსური აღრიცხვის პოლიტიკის გამოყენებასა და აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლისა და ხარჯების, ასევე პირობითი აქტივებისა და ვალდებულებების ანგარიშგებულ თანხებზე, ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ხსენებული შეფასებებისაგან. შეფასებები და ძირითადი დაშვებები საჭიროებენ მუდმივ გადახედვას. სააღრიცხვო შეფასების ცვლილება აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შეფასება მომავალ პერიოდში.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (შემდგომში მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ებზე გადასვლის თარიღია 2017 წლის 1 იანვარი.

2017 წლის 1 იანვრამდე კომპანია ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებდა ადგილობრივ პრაქტიკაში მიღებული სააღრიცხვო პრინციპების შესაბამისად, მსს ფასს-ებზე გადასვლას კომპანიის მიერ დაკორექტირდა ძირითადი საშუალებების საწყისი ნაშთების საბალანსო ღირებულებები, დაგროვილი ცვეთა.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს კომპანიის ხელმძღვანელობისგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის

მიღება და დანერგვა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. მოცემული ფინანსური ანგარიშგების შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს იმ ქვეყნის ვალუტას, სადაც ფუნქციონირებს (ფუნქციონალური ვალუტა) - ქართულ ლარს.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის ხელმძღვანელობასა და მფლობელს სურვილი აქვთ, განაგრძონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისათვის.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები.

აქტივებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში.

სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს ორგანიზაცია აქტივიდან სარგებლის მიღებას. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივები გაუფასურებაზე ფასდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ფინანსური აქტივები ითვლება გაუფასურებულად, თუ არსებობს ობიექტური რწმუნება იმისა, რომ ერთი ან მეტი ფაქტორის გამო, რომელსაც ადგილი ჰქონდა აქტივის წარმოქმნის შემდეგ და მომავალში მისაღებ ფულად სახსრებზე აქვს უარყოფითი გავლენა. აღნიშნული კომპანიას ავალდებულებს შეაფასოს მომავალში მისაღები ფულადი სახსრები. მეორეს მხრივ, აღნიშნული შეფასებები არ არის ბოლომდე სანდო, რადგან მოიცავს მომავალ დაშვებებს. მნიშვნელოვანმა და განუჭვრეტელმა ცვლილებებმა, იმ დაშვებებსა და შეფასებებში, რომლებიც მონაწილეობენ გაუფასურების დაანგარიშებაში, შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი სხვაობა ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი ინფორმაციისგან.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა

არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (ii) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სესხების და სავაჭრო და სხვა ვალდებულებების სახით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, განეჭებული ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულებით გამოთვლისა და ასევე საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე გადაწილებისთვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს მომავალი ფულადი გადახდების დისკონტირებას ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი პერიოდის განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში, საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნისვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში, მიმდინარე საბანკო და სადეპოზიტო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს.

დებიტორები დავალიანება

დებიტორული დავალიანება ძირითადად შედგება მყიდველებთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე მიწოდებული საქონლის ღირებულების მოთხოვნებისაგან.

მოთხოვნებთან დაკავშირებული გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ასახვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსურ ანგარიშგებაში დებიტორული დავალიანება მიწოდებიდან და მომსახურებიდან ასახულია მოთხოვნებს გამოკლებული უიმედო ვალები.

კრედიტორული დავალიანება

კრედიტორული დავალიანება აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას. ვალდებულება აღირიცხება საანგარიშგებო თარიღისათვის არსებულ მონაცემებსა და მიმდინარე დაშვებებზე დაყრდნობით. ვალდებულება არ დისკონტირდება ფულის დროით ღირებულებასთან მიმართებაში. ვალდებულების ჩამოწერა ხდება მისი დაფარვის მოთხოვნის ვადის გასვლის, შეწყვეტის ან გაუქმებისას.

კრედიტორული დავალიანება რომლის დაფარვის ვადა ბალანსის შედგენიდან ერთ წელზე მეტია აისახება როგორც გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანება.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

საწარმო სასაქონლო-მატერიალურ მარაგებს ასახავს უწყვეტი აღრიცხვის საშუალებით, ხოლო ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი ღირებულების ანუ საშუალო ფასთა მეთოდით, რაც მდგომარეობს იმაში, რომ რეალიზებული (ჩამოწერილი) სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულების განსაზღვრა ხდება გასაშუალებული ფასების მიხედვით რეალიზაციის ან ჩამოწერის ყოველი კონკრეტული მომენტისათვის.

სასაქონლო მარაგების ღირებულება მოიცავს შეძენის და მათ ადგილზე და პირობებში მიტანისას გაწეულ ხარჯებს.

საანგარიშო წლის ბოლოს ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი დანაკლისი ჩამოწერილია ბალანსიდან ინვენტარიზაციის აქტის საფუძველზე. ვადაგასული და გამოსაყენებლად უვარგისი საქონელი ნადგურდება აქტით სპეციალური სამსახურის მიერ. ბასს 2-ის მიხედვით სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით, სადაც ნეტო (წმინდა) სარეალიზაციო ღირებულება არის „ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით“. მათ შორის უმცირესის არჩევა განპირობებულია წინდახედულობის პრინციპით.

ნეტო სარეალიზაციო ღირებულების დადგენა უნდა ხდებოდეს ყოველი საანგარიშგებო წლის ბოლოს.

ძირითადი საშუალებები და ცვეთა

ყველა ძირითადი საშუალება აღიარებულია ისტორიული ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საფუძველზე.

ძირითადი საშუალებების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად, ასევე დემონტაჟისა და მოხსნის ხარჯების მიმდინარე ღირებულებას, რომლებიც მომავალში გაიწევა.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი გაწევის პერიოდში.

ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის.

სასარგებლო მომსახურების ვადა და სალიკვიდაციო ღირებულება მიმოიხილება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

შენობა-ნაგებობები	5%
ოფისის აღჭურვილობა	15%
კომპიუტერული ტექნიკა	15%
სატრანსპორტო საშუალებები	20%

ძირითადი საშუალებების შეძენის თვე ცვეთის დარიცხვის მიზნებისათვის აიღება როგორც სრული თვე, ხოლო ძირითადი საშუალებების გასვლის თვე ცვეთის დარიცხვის დროს არ გაითვალისწინება.

როდესაც ხდება ქონების ჩამოწერა ან სხვა სახით ცვლილება, ღირებულება და ცვეთა გადაიტანება ფინანსური ანგარიშგებიდან და ამასთან დაკავშირებული ყველა სახის მოგება ან ზარალი აისახება შემოსავლების უწყისში.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა ხდება გაყიდვის შემდეგ ან, როდესაც მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენების ან გაყიდვის შედეგად. ძირითადი საშუალებების ჩამოწერისას წარმოქმნილი ნებისმიერი სარგებელი ან ზარალი (გამოთვლილი, როგორც სხვაობა გაყიდვიდან მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის) შეტანილია იმ წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როდესაც ხდება აქტივის ჩამოწერა.

ხელფასები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ცვლილებას კომპანიის წესდებაში (მათ შორის ცვლილებას საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და ა.შ) ხორციელდება კომპანიის დამფუძნებლების მიერ.

აკუმულირებული მოგება-ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება-ზარალს.

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულებები იმ პერიოდისათვის, რომელშიც გამოცხადდა.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება ქართულ ლარებში ოპერაციის დღისთვის დადგენილი კურსების შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში დომინირებული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება ლარებში ფინანსური ანგარიშგების შედგენის დღეს არსებული გაცვლითი კურსების შესაბამისად. საკურსო სხვაობებიდან მიღებული ფინანსური შედეგი აისახება იმ პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში როდესაც ის წარმოიშვა.

ვალუტის გაცვლითი კურსი

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც კომპანიამ გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების შედგენისას:

	31დეკემბერი 2023	31დეკემბერი 2022
ლარი/1აშშდოლარი	2,6894	2,7020
ლარი/1ევრო	2,9753	2,8844

პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ბალანსში, მაგრამ წარმოდგენილია ანგარიშსწორებისას სახსრების ნებისმიერი გადინების შესაძლებლობის არსებობამდე. პირობითი აქტივი ბალანსში არ აისახება, მაგრამ წარმოდგენილია იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკური მოგების მიღებაა ნავარაუდევო.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელებიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

გადასახადები

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში კომპანია ახორციელებს ბევრ ოპერაციას და გაანგარიშებას, რომელთათვისაც საბოლოო დაბეგვრის საკითხები განსაზღვრული არაა. შედეგად კომპანია საგადასახადო ვალდებულებებს აღიარებს სავარაუდო შეფასებების საფუძველზე. შესაბამისად, კომპანია თვლის, რომ შეიძლება არსებობდეს გარკვეული პრობლემური არეები დეკლარაციებში, რომელთა ამომწურავად დასაბუთება შესაძლოა ვერ მოხერხდეს საგადასახადო შემოწმებისას. შედეგად კომპანია ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს ამასთან დაკავშირებული რისკები. სხვადასხვა ფაქტორების, მათ შორის წარსული გამოცდილების ანალიზის და საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების მიხედვით, კომპანია თვლის, რომ მის მიერ გაკეთებული საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვები ადეკვატურია.

საგადასახადო დაბეგვრა

აუდიტირებადი პერიოდისათვის საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით მოგების გადასახადი 15%-ს შეადგენს, საშემოსავლო-20%, დღგ-18%-ს.

გადასახადების გამოთვლა და გადახდა ხდება შესაბამისი პერიოდებისათვის მიხედვით საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის გათვალისწინებით.

საგადასახადო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად საანგარიშგებო პერიოდში არ წარმოქმნილა გადავადებული გადასახადი ან საგადასახადო აქტივი.

შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან

პროდუქციის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით. საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, შესაძლებელია შემოსავლის საიმედოდ შეფასება და ასევე, შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალში გასაწევი ხარჯების საიმედოდ შეფასება.

შემოსავალი მომსახურების გაწევიდან

თუ ოპერაცია მომსახურების გაწევას გულისხმობს და შესაძლებელია მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება, საწარმომ ამ ოპერაციასთან დაკავშირებული ამონაგები უნდა აღიაროს მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. მომსახურების გაწევის ოპერაციის შედეგის საიმედოდ შეფასება მაშინ არის შესაძლებელი, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

(ა) ამონაგების ოდენობის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ;

(ბ) მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში.

(გ) შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს; და

(დ) შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესასრულებლად საჭირო მომავალი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

თუ მომსახურების გაწევა ხდება განუსაზღვრელი რაოდენობის მრავალჯერადი აქტის შედეგად გარკვეული პერიოდის განმავლობაში, საწარმო ამონაგებს აღიარებს თანაბარზომიერად, მომსახურების გაწევის მთელი პერიოდის განმავლობაში, თუ არ არსებობს იმის საფუძველი, რომ რომელიმე სხვა მეთოდის გამოყენებით უფრო ზუსტად შეიძლება მომსახურების შესრულების სტადიის ასახვა. როდესაც რომელიმე აქტი/მოქმედება უფრო მეტად მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ნებისმიერი, ამონაგების აღიარება გადავადდება მნიშვნელოვან აქტის შესრულებამდე.

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ მთლიანი ეკონომიკური შემოსავლები პერიოდის განმავლობაში წარმოიშობა კომპანიის ჩვეული საქმიანობის პირობებში, მათი საიმედოდ შეფასება შესაძლებელია და ამ ოპერაციის შედეგად იზრდება საკუთარი კაპიტალი, მესაკუთრეთა მხრიდან დამატებითი ინვესტირების გარეშე.

ხარჯების აღიარება

კომპანია გასწევს ხარჯებს საქმის წარმოებაზე თავის საოპერაციო საქმიანობის პროცესში, ასევე აქვს სხვა ხარჯები, რაც არ უკავშირდება მის ძირითად საქმიანობას. ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა შემცირება მომავალი ეკონომიკური სარგებლისა, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, გაწეული ხარჯებისა და შემოსავლების შორის უშუალო შეპირისპირების საფუძველზე, შემოსავლების კონკრეტული მუხლების მიხედვით. თუკი ეკონომიკური სარგებლის წარმოშობა მოსალოდნელია რამდენიმე საანგარიშო პერიოდის მანძილზე და კავშირი

შემოსავალთან შეიძლება მოიძებნოს მთლიანად ან ნაწილობრივ, მაშინ მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხარჯის აღიარება მოხდება რაციონალური გადანაწილების მეთოდით. ხარჯის აღიარება ხდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში დაუყოვნებლივ, თუ ხარჯი აღარ ქმნის მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან როცა მომავალი ეკონომიკური სარგებელი არ შეესაბამება ან აღარ შეესაბამება ბალანსში აქტივად აღიარების მოთხოვნებს.

შენიშვნა 5 - ფულადი სახსრები	12/31/2023	12/31/2022	12/31/2021
ლარები საბანკო ანგარიშებზე	522514	238,520	140,461
უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	186	363,698	309,827
ჯამურად ფულადი ნაშთები საბანკო ანგარიშებზე	522700	602,218	450,288
ნაღდი ფული სალაროში ლარებში	10217	11,040	4,251
სულ ფულადი სახსრები	532918	613,258	454,539

შენიშვნა 6 - მოკლევადიანი მოთხოვნები	12/31/2023	12/31/2022	12/31/2021
გაცემული სესხები	1431595	1,575,722	1,560,444
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	7422894	6,010,764	4,541,015
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	31156	32,220	143,221
მოძღვრებელზე გადახდილი ავანსები	21595	9,900	13,353
სხვა მოთხოვნები	2894984	2,647,082	2,465,871
ჯამურად მოკლევადიანი მოთხოვნები	11802225	10,275,689	8,723,904

შენიშვნა 7 - სასაქონლო მატერიალური მარაგები	12/31/2023	12/31/2022	12/31/2021
საქონელი	841844	480,466	365,714
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგები	74717	77,511	64,243
ჯამურად მოკლევადიანი მოთხოვნები	916562	557,977	429,958

შენიშვნა 8 - ფიქსირებული აქტივები

ძირითადი საშუალებები	მიწის ნაკვეთი	კავშირგაბმულობის მოწყობილობები	კომპიუტერი	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და ინვეტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
საბალანსო ღირებულება 31.12.2022	3,626,500	29,019	36,394	8,627	2,573	1,289,723	4,992,836
შეძენა							0
გასვლა							0
აკუმულირებული ამორტიზაცია 31.12.2022	0	(10,628)	(14,712)	(2,753)	(600)	(446,498)	(475,191)
							0
ნაშთი 01.01.2023	3,626,500	18,391	21,682	5,874	1,973	843,225	4,517,645
შეძენა		12,431	6,466	2,536	6,905	85,854	114,192
გასვლა							0
აფასება (გადაფასება)							0
ნაშთი 31.12.2023	3,626,500	30,822	28,148	8,409	8,878	929,079	4,631,837
ამორტიზაცია 31.12.2023	0	(4,813)	(5,486)	(828)	(1,021)	(268,381)	(280,529)
აკუმულირებული ამორტიზაცია 31.12.2023	0	(15,441)	(20,198)	(3,580)	(1,621)	(714,879)	(755,720)
ნარჩენი ღირებულება 31.12.2022	3,626,500	18,391	21,682	5,874	1,973	843,225	4,517,645
ნარჩენი ღირებულება 31.12.2023	3,626,500	26,009	22,662	7,582	7,857	660,698	4,351,308

შენიშვნა 9 - არამატერიალური აქტივები		
არამატერიალური აქტივები	საოფისე პროგრამები	სულ
საბალანსო ღირებულება 31.12.2022	14,705	31,326
შემენა		0
გასვლა		0
აკუმულირებული ამორტიზაცია 31.12.20	(11,470)	(27,163)
		0
ნაშთი 01.01.2023	3,235	4,163
შემენა		0
გასვლა		0
ნაშთი 31.12.2023	3,235	4,163
ამორტიზაცია	(899)	4,163
ნარჩენი ღირებულება 31.12.2022	3,235	4,163
ნარჩენი ღირებულება 31.12.2023	2,336	2,150

შენიშვნა 10 - კრედიტორული დავალიანება	12/31/2023	12/31/2022
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი კრედიტორული დავალიანება	8689261	6963087
გადასახდელი ხელფასები	143823	101318
მოკლევადიანი სესხები	2380241	2304636
სულ კრედიტორული დავალიანება	11213325	9369041

კომპანიას აღებული აქვს სესხი სს ხალიკბანკიდან 9% საპროცენტო განაკვეთით, რომელიც უზრუნველყოფილია კომპანიის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებით. სესხის და დარიცხული პროცენტის გადახდა ხორციელდება ხელშეკრულების მიხედვით.

შენიშვნა 11 - გადასახდელი გადასახადები	12/31/2023	12/31/2022
გადასახადების ერთიანი ანგარიში	222229	189360
სულ გადასახდელი გადასახადები	222229	189360

შენიშვნა 12-გრძელვადიანი ვალდებულებები

კომპანიას ბალანსზე ერიცხება ლიზინგის ხელშეკრულებით მიღებული ავტომანქანა, რომლის ნარჩენი ვალდებულებაცაა-9595

შენიშვნა 13 - საოპერაციო ხარჯები	12/31/2023	12/31/2022
დაზღვევის ხარჯები	30530	7,274
ხელფასის ხარჯები	1995414	1,917,085
იჯარის ხარჯები	196085	175,818
კომუნიკაციების ხარჯები	39418	32,011
საოფისე ხარჯები	40217	43,990
საგადასახადო ხარჯები	11819	13,097

საკანცელარიო საქონელი	30127	27,208
ბანკის მომსახურების საკომისიო	12646	9,259
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	15217	16,031
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	282542	257,595
საქველმოქმედო ხარჯები	40098	91,981
სხვა ხარჯები	46426	80,147
მიწოდების ხარჯი	1133690	1,019,750
საწარმოო ხარჯები	2852589	2,431,588
სულ საოპერაციო ხარჯები	6826846	6,122,835

შენიშვნა 14 - არასაოპერაციო შემოსავლები	12/31/2023	12/31/2022
ფინანსური შემოსავალი	236873	262,349
დადებითი საკუროსო შემოსავალი	520593	521,927
სხვა გაუთვალისწინებელი შემოსავლები	2218	7,232
სულ არასაოპერაციო შემოსავლები	759684	791,508

შენიშვნა 15 - არასაოპერაციო ზარალი	12/31/2023	12/31/2022
საპროცენტო ხარჯები	141442	132,134
ზარალი აქტივების გასვლიდან		773
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	1176224	563,909
სულ არასაოპერაციო ზარალი	1317666	696,815

იჯარა

ფასს 16 იჯარა (გამოშვებული 2016 წლის იანვარში) ახალი სტანდარტი ამოქმედდა 2019 წლის 1 იანვრიდან, რომელმაც შეცვალა ბასს-17 და მისი განმარტებები. მნიშვნელოვანია ის, რომ თითქმის ყველა იჯარის სახეობა, ბალანსში მოექცევა ერთი მოდელის ქვეშ (გარდა 12 თვეზე ნალკები და დაბალ-ღირებულებიანი იჯარებისა).

კომპანიას იჯარის აქვს ფართები აღებული ორ მისამართზე და გაფორმებული აქვს იჯარის ხელშეკრულება რომელიც ავტომატურად გრძელდება შემდეგ წელს თუ მხარეებს არ გააჩნიათ პრეტენზიები ერთმანეთის მიმართ. კომპანია არსებულ იჯარას განიხილავს საოპერაციო იჯარად.

სასამართლო დავები

2023 წლის განმავლობაში შპს ” ნატახტარი 2005”-ს სასამართლო დავები არ ჰქონია.

ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

სხვა ბიზნესების მსგავსად, კომპანია დგება სხვადასხვა რისკის წინაშე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. ეს შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს რათა მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად.

ითვლება, რომ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება რომლებიც ლიკვიდურია და/ან აქვთ მოკლევადიანი გადახდის ვადა ახლოსაა მათ რეალურ ღირებულებასთან.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის.

მენეჯმენტის საერთო მიზანია დანერგოს პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება რისკების შემცირებისკენ იმგვარად, რომ ზედმეტი ზემოქმედება არ მოახდინოს კომპანიის კონკურენტუნარიანობასა და მოქნილობაზე. შემდგომი დეტალები ამ პოლიტიკასთან დაკავშირებით განმარტებულია ქვემოთ:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი:
- სავალუტო რისკი
- საპროცენტო განაკვეთის რისკი

ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანიის მიერ გამოყენებული ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები, რომელთაგან ფინანსური რისკი წარმოიქმნება შემდეგია:

ფინანსური აქტივები	12/31/2023	12/31/2022
მოკლევადიანი მოთხოვნები	10,370,629	8,699,967
ფული და ფულადი ექვივალენტები	532,918	613,258
გაცემული სესხები	1,431,595	1,575,722
სულ ფინანსური აქტივები	12,335,142	10,888,947

ფინანსური ვალდებულებები	12/31/2023	12/31/2022
კრედიტორული დავალიანება	8,833,084	7,064,405
გადასახდელი გადასახადები	222,229	189,360
მიღებული სესხები	2,380,241	2,304,636
სულ ფინანსური ვალდებულებები	11,435,554	9,558,401

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ დანაკარგს მეორე მხარისთვის ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო.

საკრედიტო რისკის წინაშე კომპანია დგება კრედიტით რეალიზაციის შედეგად. საკრედიტო რისკი წარმოიშვება მაშინ, როდესაც კონტრაგენტები დგებიან ფინანსური პრობლემების წინაშე და ვერ ასრულებენ თავის ვალდებულებებს კომპანიისთვის ვალდებულებების დაბრუნებასთან დაკავშირებით. კომპანიას შეიძლება შეექმნას სირთულეები დებიტორული დავალიანების შეგროვებისას, რის შედეგადაც თავისი საქმიანობის წარმართვისას აღმოჩნდება შეზღუდული რესურსების პრობლემის წინაშე.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა, ანგარიშგების თარიღისთვის, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური აქტივები	12/31/2023	12/31/2022
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10370629	8,699,967
ფული და ფულადი ექვივალენტები	532918	613,258
გაცემული სესხები	1431595	1,575,722
მაქსიმალური საკრედიტო რისკი	12335142	10,888,947

ფინანსური აქტივები, რომელიც შესაძლებელია განისაზღვროს კომპანიის საკრედიტო რისკად, ძირითადად მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს საკრედიტო რისკის მაქსიმალურ ოდენობას.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშვება კომპანიის საბრუნავი კაპიტალის მართვისას. ეს არის იმის რისკი, რომ კომპანია აღმოჩნდება საკუთარი ფინანსური ვალდებულებების შესრულების სირთულის წინაშე, რაც უარყოფითად იმოქმედებს კომპანიის მიმდინარე ოპერაციებსა და მის საქმიანობაზე. გონივრული ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების შენარჩუნებასა და საკმარისი საკრედიტო სახსრებით დაფინანსების შესაძლებლობას.

ლიკვიდურობის შედარებითი ანალიზი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	3 თვეზე ნაკლები	3-დან 6 თვემდე	6-დან 12 თვემდე	5 წელზე მეტი	სულ მთლიანი თანხის გადინება
აქტივები					
ფული და ფულადი	613,258				613,258
ექვივალენტები					
მოკლევადიანი მოთხოვნები	8,699,967				8,699,967
გაცემული სესხები			1,575,722		1,575,722
მოთხოვნა კაპიტალის შევსებაზე					
ვალდებულებები					
კრედიტორული დავალიანება	(7,064,405)				(7,064,405)
გადასახდელი გადასახადები	(189,360)				(189,360)
მიღებული სესხები		(2,304,636)			(2,304,636)
ლიკვიდურობის პოზიცია	2,059,460	(2,304,636)	1,575,722		1,330,546

ლიკვიდურობის შედარებითი ანალიზი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	3 თვეზე ნაკლები	3-დან 6 თვემდე	6-დან 12 თვემდე	5 წელზე მეტი	სულ მთლიანი თანხის გადინება
აქტივები					
ფული და ფულადი	532918				532918
ექვივალენტები					
მოკლევადიანი მოთხოვნები	10370629				10370629
გაცემული სესხები			1431959		1431959
მოთხოვნა კაპიტალის შევსებაზე					
ვალდებულებები					
კრედიტორული დავალიანება	(8833084)				(8833084)
გადასახდელი გადასახადები	(222229)				(222229)
მიღებული სესხები		(2380241)			(2380241)
ლიკვიდურობის პოზიცია	1848234	(2380241)	1431959		899588

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სულ
აქტივები				
ფული და ფულადი ექვივალენტები	249,560	27,020	336,678	613,258
მოკლევადიანი მოთხოვნები	8,699,967			8,699,967
გაცემული სესხები	1,575,722			1,575,722
ვალდებულებები				0
კრედიტორული დავალიანება	(7,064,405)			(7,064,405)
გადასახდელი გადასახადები	(189,360)			(189,360)
მიღებული სესხები			(2,304,636)	(2,304,636)
	3,271,484	27,020	(1,967,958)	1,330,546

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:				
	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სულ
აქტივები				
ფული და ფულადი ექვივალენტები	532732		186	532918
მოკლევადიანი მოთხოვნები	10370629			10370629
გაცემული სესხები	1431595			1431595
ვალდებულებები				
კრედიტორული დავალიანება	(8833084)			(8833084)
გადასახდელი გადასახადები	(222229)			(222229)
მიღებული სესხები			(2380241)	(2380241)
	3279643		(2380055)	899588

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტის, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები შეიცვლება საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისა და (საპროცენტო რისკი) უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი).

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე. ეს რისკი შესაძლოა წარმოიშვას იმ შემთხვევაში, თუ ასეთი აქტივები და ვალდებულებები დამოკიდებულია კურსის ცვლილებაზე.

კომპანიას არ გააჩნია მნიშვნელოვანი საპროცენტო განაკვეთის მატარებელი აქტივი და ვალდებულება, თუმცა ამგვარის შემთხვევაში მიბმული იქნება ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთზე.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი არანაკლებ გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსური რისკების განსაზღვრაში. კომპანია ატარებს სავალუტო რისკს რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

კომპანიას არ გააჩნია მნიშვნელოვანი სავალუტო ან საპროცენტო განაკვეთის რისკები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან განსაზღვრულია ბუღალტრული ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტში N24 დაკავშირებული მხარეების წარდგენა და წარმოადგენენ:

(ა) კომპანიები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით აკონტროლებენ კომპანიას, კონტროლდებიან მის მიერ ან კომპანიასთან ერთად ექვემდებარებიან საერთო კონტროლს (მათ შორის, ჰოლდინგური კომპანიები, შვილობილი საწარმოები და ერთი ძირითადი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები);

(ბ)მეკავშირე საწარმოები, რომელთა საქმიანობაზე კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი ზეგავლენა და რომლებიც არ წარმოადგენენ ინვესტორის არც შვილობილ და არც ერთობლივ კომპანიას;

(გ) ერთობლივი საწარმო, სადაც კომპანია არის დამფუძნებელი;

(დ) კომპანიის ან დამფუძნებელი კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა;

(ე) (ა) და (ბ) პუნქტებში აღნიშნული პირების უშუალო ოჯახის წევრები; საწარმოები, რომელთა ხმის უფლების მქონე აქციათა მნიშვნელოვანი პაკეტი პირდაპირ ან არაპირდაპირ ეკუთვნის იმ პირებს რომლებიც ჩამოთვლილი არიან დ) და ე) პუნქტებში ან პირები, რომლებზეც შეუძლიათ იქონიონ მნიშვნელოვანი გავლენა.

ე.ი. ბასს 24-ის („დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“) მიხედვით, მხარეები ითვლებიან დაკავშირებულად თუ ერთ მხარეს აქვს უნარი გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. შესაძლო დაკავშირებული მხარეების თითოეული შემთხვევის განხილვისას ყურადღება უნდა მიექცეს არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას არამედ იმასაც, თუ როგორია მათ შორის ურთიერთობა. დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და

დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ განხორციელდეს იმავე პირობებზე და თანხებზე როგორც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

	2023	2022
უმაღლესი მენეჯმენტის შრომის ანაზღაურება	320512	401869

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას კომპანია მიზნად ისახავს:

-უზრუნველყოს კომპანიის უნარიანობა გააგრძელოს თავის საქმიანობა ისე, რომ მფლობელები შემოსავლით უზრუნველყოს; და

-უზრუნველყოს ადეკვატური შემოსავალი მფლობელებისთვის მომსახურების შეფასებით რისკის დონის თანაზომიერად.

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს და აკორექტირებს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების ცვლილებების გათვალისწინებით.

აღნიშნულის განსახორციელებლად, შესაძლებელია კომპანიამ დააკორექტიროს დამფუძნებლებისთვის გადასახდელი დივიდენდების თანხა, დაუბრუნოს კაპიტალი დამფუძნებელს, გაზარდოს საწესდებო კაპიტალი ან გაყიდოს აქტივები ვალის დაფარვის მიზნით.

გაუთვალისწინებელი გარემოებები

დაზღვევა

სადაზღვევო ინდუსტრია საქართველოში განვითარების ფაზაშია. შესაბამისად, მსოფლიოში მიღებული სადაზღვევო დაცვის ბევრი ფორმა ჯერჯერობით საქართველოში სრულად ხელმისაწვდომი არ არის. კომპანიას გააჩნია სრული სადაზღვევო დაფარვა თავის უძრავ ქონებაზე, ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე, ასევე დაზღვეულია თანამშრომლების ჯანმრთელობა.

დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხშირად იცვლება მისი საკანონმდებლო და ოფიციალური დებულებები, სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად ბუნდოვანია, წინააღმდეგობრივია და მათი ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარად წარმოებს.

აღნიშნული გარემო საქართველოში ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც უფრო არსებითია ვიდრე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ იგი ადეკვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, ხელმძღვანელობს რა საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების, ოფიციალური აქტებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად.

საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანია საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისათვის.

კომპანიის ერთადერთი ძირითადი მომწოდებელი არის სს „ლომისი“ რომლის პროდუქცია არის ბაზარზე კონკურენტული და კომპანიის საქმიანობის მომგებიანობა და ეფექტურობა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია აღნიშნულ მომწოდებელზე, თუმცა უნდა აღინიშნოს რომ კომპანიას გააჩნია სს „ლომისთან“ თითქმის 20 წლიანი საქმიანი ურთიერთობა და მენეჯმენტის განცხადებით არ არსებობს რაიმე მოლოდინი აღნიშნული საქმიანობის შეწყვეტასთან დაკავშირებით.

არსებული ეკონომიკური მდგომარეობისა და ზემოაღნიშნული ღონისძიებების სამომავლო შედეგების პროგნოზირება რთულია, მაგრამ კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არ არსებობს ეჭვი კომპანიის ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებით ანგარიშგების პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში. კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას და კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ განავითარონ მისი საქმიანობა.

ბალანსის შემდგომი მოვლენები

2023 წლის 31 დეკემბრის შემდგომ არ მომხდარა ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც საჭიროებს ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენას.



მმართველობითი აღრიცხვა,
საქმიანობის მიმოხილვა
საქმიანობის განვითარება, შედეგები და მდგომარეობა

2023 წელს კომპანიამ შეინარჩუნა შემუშავებული პოლიტიკა და ცდილობს ბიზნესში არსებული პრობლემების და საქმიანობის შეფერხებების გადაჭრას:

1. შპს „ნატახტარი 2005“ წარმოადგენს წამყვან სადისტრიბუციო კომპანიას. კომპანიის მისია და მიზანია მწარმოებლის, სს „ლომისი“-ს მიერ წარმოებული პროდუქცია მიაწოდოს მომხმარებელს, ჰქონდეს ობიექტებთან სტაბილური და პარტნიორული ურთიერთობა, მოახდინოს პროდუქციის სწრაფი და მოქნილი მიწოდება.
2. კომპანიის საქმიანობის სახე არის დისტრიბუცია- მწარმოებლის მიერ წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია. კომპანიის ძირითადი სამოქმედო ბაზარია ქ. თბილისი. კომპანიის წილი ბაზარზე მერყეობს 35%-დან 40%-მდე, მიუხედავად ბაზარზე არსებული სხვა ძლიერი კონკურენტი კომპანიებისა.
3. კომპანიის ძირითადი პროდუქცია არის სს „ლომისი“-ს მიერ წარმოებული ლუდი და ლიმონათი.
4. ბაზარზე პროდუქციის ღირებულება არ იქმნება კომპანიის მიერ, კომპანიის ფუნქციაა მხოლოდ პროდუქციის ტრანსპორტირება და მიწოდება ობიექტებზე.
5. მწარმოებლის- სს „ლომისი“-ს წარმომადგენლები, ობიექტებზე იღებენ შეკვეთებს და შესაბამისი სმარტფონების საშუალებით აგზავნიან შეკვეთას ერთიან სისტემაში, რის შემდგომ შპს „ნატახტარი 2005“-ის ოპერატორები სისტემაში ქმნიან დატვირთვის და რეალიზაციის შეკვეთებს, რომელიც ექსპედიტორების მეშვეობით რიგდება ობიექტებზე. ბაზარზე პროდუქციის ღირებულებას კი არეგულირებს მწარმოებელი - სს „ლომისი“ და თვითონ ობიექტები.
6. კონკურენციის ზრდის მიუხედავად კომპანიაში წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით 2023 წელს გაიზარდა გაყიდვების მოცულობა.
7. მნიშვნელოვან ცვლილებებს კომპანია ვერ განახორციელებს, რადგან მისი საქმიანობა მხოლოდ პროდუქციის მიწოდებაა, ცვლილებების განხორციელება უშუალოდ ქარხნის - სს „ლომისი“-ს ფუნქციაა.
8. კომპანიას არ აქვს ფილიალი. საქმიანობა მოიცავს მხოლოდ ქ. თბილისის ტერიტორიას.
9. მენეჯმენტისა ძალისხმევით და გუნდური მუშაობის შედეგად წინა პერიოდთან შედარებით კომპანიაში გაზრდილია გაყიდვები.
10. კომპანიაში დასაქმებულები არიან კვალიფიციური კადრები, თითოეულ თანამშრომელს აქვს საკუთარი ფუნქცია-მოვალეობები, რომელსაც ასრულებენ კეთილსინდისიერად და ჯეროვნად.

11. კომპანიაში დასაქმებულია 160-ზე მეტი თანამშრომელი, რომლებთანაც გაფორმებულია შრომითი კონტრაქტები კანონის სრული დაცვით. თითოეული თანამშრომელი სარგებლობს შრომის კოდექსით გათვალისწინებული ყველა უფლებით.
12. ანტიკორუფციულ საკითხებთან მიმართებით კომპანიის მიდგომა არის ძალიან მკაცრი, ჯერჯერობით კომპანიაში არ გამოვლენილა მსგავსი ფაქტი, მაგრამ გამოვლენის შემთხვევაში კომპანია აუცილებლად განახორციელებს კანონით გათვალისწინებულ ღონისძიებებს.

ინფორმაცია ძირითად რისკებზე და გაურკვევლობებზე:

1. კომპანიას რა თქმა უნდა ჰყავს კრედიტორებიც და დებიტორებიც. დებიტორები არიან ობიექტები-სადაც მოახდინა კომპანიამ პროდუქციის მიწოდება. აღნიშნული თანხების ამოღებას კომპანია ცდილობს კანონით გათვალისწინებული გზებით, მაგრამ არსებობს ობიექტები, საიდანაც რთულია თანხების ამოღება იმ მიზეზით, რომ მათი უმრავლესობა დაკეტილი ან ლიკვიდირებულია.
2. მონიტორინგს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ახორციელებს გაყიდვების მენეჯერი და იურისტი, ხოლო ინფორმაციას აღნიშნულთან დაკავშირებით მონიტორინგის განმხორციელებელ პირებს აწვდიან პრესელერები ან ექსპედიტორები.

შპს „ნატახტარი 2005“-ის
მენეჯმენტის სახელით:
ლევან ტაბუცაძე

10. მენეჯმენტისა ძალისხმევისა და გუნდური მუშაობის შედეგად წინა პერიოდთან შედარებით კომპანიაში გაზრდილია გაყიდვები.
11. კომპანიაში დასაქმებულები არიან კვალიფიციური კადრები, თითოეულ თანამშრომელს აქვს საკუთარი ფუნქცია-მოვალეობები, რომელსაც ასრულებენ კეთილსინდისიერად და ჯეროვნად.
12. კომპანიაში დასაქმებულია 200-ზე მეტი თანამშრომელი, რომლებთანაც გაფორმებულია შრომითი კონტრაქტები კანონის სრული დაცვით. თითოეული თანამშრომელი სარგებლობს შრომის კოდექსით გათვალისწინებული ყველა უფლებით.
13. ანტიკორუფციულ საკითხებთან მიმართებით კომპანიის მიდგომა არის ძალიან მკაცრი, ჯერჯერობით კომპანიაში არ გამოვლენილა მსგავსი ფაქტი, მაგრამ გამოვლენის შემთხვევაში კომპანია აუცილებლად განახორციელებს კანონით გათვალისწინებულ ღონისძიებებს.

ინფორმაცია ძირითად რისკებზე და გაურკვევლობებზე:

1. კომპანიას რა თქმა უნდა ჰყავს კრედიტორებიც და დებიტორებიც. დებიტორები არიან ობიექტები-სადაც მოახდინა კომპანიამ პროდუქციის მიწოდება. აღნიშნული თანხების ამოღებას კომპანია ცდილობს კანონით გათვალისწინებული გზებით, მაგრამ არსებობს ობიექტები, საიდანაც რთულია თანხების ამოღება იმ მიზეზით, რომ მათი უმრავლესობა დაკეტილი ან ლიკვიდირებულია.
2. მონიტორინგს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ახორციელებს გაყიდვების მენეჯერი და იურისტი, ხოლო ინფორმაციას აღნიშნულთან დაკავშირებით მონიტორინგის განმხორციელებელ პირებს აწვდიან პრესელერები ან ექსპედიტორები.

შპს „ნატახტარი 2005“-ის
მენეჯმენტის სახელით:
ლევან ტაბუცაძე

